დანართი 1

1. სათამაშო სივრცეში შესვლამდე მონაწილეები გაივლიან დეზობარიერს და მოხდება ტემპერატურის კონტროლი.

2. ყველა მონაწილემ უნდა ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა სადეზინფექციო ხსნარით;

3. სათამაშო სივრცეში ყოფნის დროს მონაწილეებმა უნდა გაიკეთონ დამცავი ნიღაბი;

4. სათამაშო დარბაზში მოთამაშეების გარდა დაშვებულია მხოლოდ მსაჯებისა და ორგანიზატორების ყოფნა;

5. ტურის დასრულების შემდეგ თითოეულმა მონაწილემ თვითონ უნდა გაიტანოს თავისი ნივთები და ნარჩენები ოთახიდან;

6. ჩატარდება საჭადრაკო ინვენტარის (ფიგურები, დაფა, საათი), სკამების, მაგიდების, იატაკის და კარებების სახელურების დეზინფიცირება;

7. ტურნირის ყველა მონაწილემ სათამაშო დარბაზიდან ყოველი გამოსვლის შემდეგ უნდა ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა;

8. საჭადრაკო პარტიის დამთავრებისთანავე ყველა მონაწილემ უნდა დატოვოს სათამაშო სივრცე;

9. ტურნირის დროს დაცული იქნება საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა რეგულაციები (სველი წერტილის წმენდა, დეზინფექცია, სადეზინფექციო დისპენსერების განთავსება და სხვა).

10. მონაწილეები და მსაჯები ვალდებულნი არიან გამოაგზავნონ ელ.ფოსტაზე (info@acf.ge) "კოვიდ-19" ინფექციაზე ბოლო 24 საათში ჩატარებული სწრაფი ტესტის პასუხი.
11. მონაწილეები რომელთაც ტურნირის დაწყებამდე 14 დღით ადრე მაინც აქვთ გაკეთებული ვაქცინის მეორე დოზა ან ბოლო 6 თვის განმავლობაში ქონდათ ''კოვიდ 19'' დადასტურებული, არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ტესტის პასუხი. ამ შემთხვევაში მათ უნდა გამოაგზავნონ ვაქცინაციის დამადასტურებელი ბარათი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.
12. ტურნირის დირექცია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს ტურნირის განრიგი "კოვიდ-19" პანდემიასთან დაკავშირებული გართულებების გათვალისწინებით.

რეგულაციებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ორგანიზატორი იტოვებს უფლებას იმოქმედოს ცვლილებების შესაბამისად.